სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

16 სექტემბერი 2024

N 21/9769

შპს „ასკანგელ ალიანსს“
მის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუ
ელ.ფოსტა: i.ninidze@askangel.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №7961 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში არსებული სასარგებლო წიაღისეულის (ბენტონიტური თიხა) გადამამუშავებელი ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- მე-3 თავში მითითებულია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული შემრევი აგრეგატი მიმღებ ბუნკერში ჩატვირთულ აქტივირებულ თიხას და ქარხნის აირგამწმენდი სისტემიდან დაბრუნებულ თიხის მტვერს აქტიურად შეურევს და აქვე დაემატება მცირე რაოდენობის წყალი თიხის ტენიანობის გასაზრდელად, რაც საჭიროა აქტივაციის პროცესის უკეთ განხორციელებისათვის. ამასთან, 4.4 თავში აღნიშნულია, რომ ქარხანას წყალი ესაჭიროება სასმელი და საყოფაცხოვრებო მიზნით, რისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია ჭა, რაზეც კომპანიას გააჩნია შესაბამისი ლიცენზია. ზემოაღნიშნული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა და დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ შემრევ აგრეგატში გამოსაყენებელი წყლით ობიექტის მომარაგების საკითხი. ამასთან იმ შემთხვევაში, თუ წყალაღება დაგეგმილია ზედაპირული წყლის ობიექტიდან, დოკუმენტში ასევე მოცემული უნდა იყოს წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები და ასაღები წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე შემკრები სისტემა და ორკამერიანი სალექარი, რომელიც წმენდს მოსული ნალექის დროს წარმოქმნილ წყალს შეწონილი ნაწილაკებისაგან, რის შემდგომაც გადის ტერიტორიიდან და ჩაედინება მდ. ნატანებში (წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-256117 Y-4647726). ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სანიაღვრე წყლებში არ ხვდება სხვა ქიმიური ნივთიერებები გარდა შეწონილი ნაწილაკებისა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ჩამდინარე სანიაღვრე წყლების გაწმენდის ეფექტურობის შესახებ;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმო განთავსებულია 26.19.15.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ფართობი 21 079 მ^2), ხოლო დოკუმენტზე თანდართული shp წარმოდგენილია ასევე №26.19.15.176 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, სკრინინგის განცხადების ტექსტური ნაწილი და

თანდართული shp ფაილები საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების GPS კოორდინატები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან, ზემოაღნიშნული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე 2023 წლის 7 ნოემბერს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №617/ს) მე-3 პირობის თანახმად, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის (სოფ. დვაბზუ – ძირითადი ქარხანა და სოფ. მთისპირი – შუალედური საწყობი) სააგენტოსთან შეთანხმება, წარმოდგენილ დოკუმენტში ასევე მოცემული უნდა იყოს აღნიშნული პირობის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9769-21-2-202409162000